# ვაკანსიის № 98111

| | |
|---|---|
| პოზიციის დასახელება | იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი |
| კონკურსის ტიპი | ღია კონკურსი |
| ორგანიზაცია | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მ |
| კატეგორია | იურიდიული |
| განცხადების ბოლო ვადა | 11.03.2026 |
| თანამდებობრივი სარგო | 3680 ლარი |
| ადგილების რაოდენობა | 1 |
| სამსახურის ადგილმდებარეობა | თბილისი |
| სამუშაოს ტიპი | სრული განაკვეთი |
| გამოსაცდელი ვადა | 3 თვე |

## ფუნქციები

ა) სამსახურის სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

გ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ მომზადებული პროექტების სამართლებრივი ანალიზი;

დ) სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა საკულტო–რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემულ სამუშაოთა ნებართვებში, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ტექნიკური შეცდომების გასწორება, ძალადაკარგულად გამოცხადება, არარად აღიარება და ბათილად ცნობა;

ე) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივი განმარტებების მომზადება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ზ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების, ადმინისტრაციულ ორგანოებისთვის წერილობითი მიმართვა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

ი) სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე სამსახურის წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

კ) სამსახურის მიერ სასამართლოში წარსადგენი საპროცესო დოკუმენტაციის (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი და ა.შ) მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში მათი წარდგენა სასამართლოში;

ლ) სასამართლოში წარმომადგენლობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობა, შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვა და მოპოვება;

მ) სასამართლოს/ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებების ჩატარება სამსახურის შესაბამის განყოფილებასთან ერთად;

მ1) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

ნ) დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

## მოთხოვნები

| | |
|---|---|
| მინიმალური განათლება | ბაკალავრი |
| სამუშაო გამოცდილება | 2 წელი |
| პროფესია | სამართალმცოდნე |

## საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
გ) საქართველოს ორგანული კანონი ,, საქართველოს შრომის კოდექსი“;
დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ე) საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.
ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
ზ)საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
თ) საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“
ი)  საქართველოს კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“
კ) საქართველოს კანონი ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“
ლ) საქართველოს კანონი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“
მ ) ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ნ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
ო) საქართველოს კანონი ,,ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ ;
პ) ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილება;
 ჟ)  ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-35 დადგენილება;
რ) ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის  12 დეკემბრის  N17–51  დადგენილება.
ს),მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს  მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილება;
ტ)„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის 39-18 დადგენილება.

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

| პროგრამის დასახელება | ცოდნის დონე |
|---|---|
| MS office applications | კარგი |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის მისამართი | შარტავას ქ. N7 |
| საკონტაქტო ტელეფონები | 599520283 |
| საკონტაქტო პირი | სალომე |

## დამატებითი მოთხოვნები

ა) კანდიდატს უნდა ჰქონდეს იურიდიული პროფილით/იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
ბ) წერისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
გ) სასურველია: ინგლისური ენის ცოდნა (ცოდნის დონე: კარგი).

## დამატებითი ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებით მოთხოვნებში მითითებული საკანონმდებლო აქტების გასაცნობად ეწვიეთ ვებ - გვერდს: www.tas.ge; https://matsne.gov.ge/.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა კანდიდატებმა განცხადების შევსების დროს შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთონ:
ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი;
ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოჩენილი, თუ რატომ გსურთ არქიტექტურის სამსახურში მუშაობის დაწყება და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება კონკრეტულ ვაკანსიას.

შენიშვნა: კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ფორმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

## კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება

## სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑სამოტივაციო წერილი